

ძნელ პირობებში

მოსკოვი. "დინამოს" სტადიონი. 13 ივლისი.

"დინამო" (მოსკოვი) – "დინამო" (თბილისი) 2:1 (1:0).

მოსკოვი: გონტარი, ნიკულინი, ნოვიკოვი, პაროვი, კრამარენკო, პეტრუშინი, გერშკოვიჩი (ბუბნოვი), დოლმატოვი, იაკუბიკი, მაქსიმენკოვი, შეპელი (ევრიუჟინი).

თბილისი: გოგია, ძოძუაშვილი, ჩივაძე, ხიზანიშვილი, ებრალიძე, გ. მაჩაიძე, მ. მაჩაიძე, ქორიძე, გუცაევი, დარასელია (წერეთელი), ჩელებაძე (კოპალეიშვილი).

მსაჯი: ი. ბალიკინი (დნეპროპეტროვსკი).

გაფრთხილებულია ჩივაძე.

დუბლიორები – 1:1.

მატჩში, რომელიც ცენტრალური მოვლენა იყო არა მარტო 13 ივლისის ტურის, არამედ მთელი ჩემპიონატისთვისაც, თბილისელებს ძალზე ძნელ პირობებში მოუხდათ ბრძოლა. ჯერ ერთი, მათ აკლდათ ძირითადი საბრძოლო შემადგენლობის ოთხი უძლიერესი მოთამაშე (ჭელიძე, ხინჩგაშვილი, მუჯირი, ყიფიანი), მაშინ, როცა მოსკოველთა დანაკლისი ფაქტიურად მხოლოდ მინაგვის არყოფნით გამოიხატა. ეს იგი, სტუმრების დაცვა თითქმის მთლიანად რეკონსტრუირებული იყო; მეორეც, მატჩი ისეთ ამინდში ჩატარდა, ბურთის გათამაშება კი არა, საერთოდ გზის გაკვლევა ჭირდა კოჭებამდე წყალში. ეს მეორე პირობა ვინმემ შეიძლება უსაფუძვლო არგუმენტად მიიჩნიოს იმ მოტივით, რომ წვიმით დაფარული მიდნორი ორივე მხრის მოთამაშეთათვის ერთნაირადაა ხელშემშლელი, მაგრამ იმის უარყოფა არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება, რომ მოსკოველებს გაცილებით უფრო ხშირად უხდებოდათ ხოლმე უამინდობაში თამაში, ვიდრე თბილისელებს. ამიტომაც შესაბამისი ჩვევები მათ მეტად აქვთ გამოუმუშავებული.

ეს იგრძნობოდა მთელი მატჩის მსვლელობაში. მასპინძლებმა მაღალი, შორი გადაცემებით, შეტევის მიმართულების ხშირი ცვლით ფლანგიდან ფლანგზე თავიდანვე შეძლეს უპირატესობის ხელში ჩაგდება, თბილისელების მოკლე, დაბალი გადაცემებისას კი ბურთი ხშირად ფერხდებოდა გუბებში, იერიშის განვითარებისას ბევრი დრო და ძალა იხარჯებოდა შუა მიწოდებაში.

მოსკოვის "დინამო" გადაუდებელი ალტერნატივის წინაშე იდგა: მას 4 ქულა სჭირდებოდა ორ დარჩენილ მატჩში და ჩემპიონობაც ყოველგვარი კონკურენციის გარეშე ჰქონდა გარანტირებული. ამ გეგმის პირველი ნაწილის შესასრულებლად გუნდმა მთელი ძალით ითამაშა თანაკლუბელებთან და როცა მატჩის მე-2 წუთზე გოლიც გაიტანა (შეპელის მიერ დარტყმული ბურთი მოხვდა ერთ-ერთ მცველს და ბადეში აღმოჩნდა), კიდევ უფრო დაჯერებულად, ენერგიულად იბრძოლა გამარჯვების შესანარჩუნებლად. მართალია, რამდენიმე სახითათო მომენტი თბილისელებმაც შექმნეს, მაგრამ გოგიას ტაიმის ბოლომდე გაცილებით მეტი სამუშაო ჰქონდა, ვიდრე გონტარს.

განახლდა თამაში შესვენების შემდეგ, მოსკოველებმა თითქმის ანალოგიურ სიტუაციაში გამოიყენეს მონინალმდევის დაცვაში დაშვებული შეცდომა და გერშკოვიჩმა ახლო მანძილიდან კიდევ უფრო დაანინაურა თავისი გუნდი.

2:0 – სერიოზული ფორაა ასეთ მატჩში. მაგრამ თბილისელთა რიგებში ამას არ გამოუწვევია დემორგანიზაცია. პირიქით, გუნდმა ძლიერი კონტრათამაში შექმნა, კარგად

ჩაერთვნენ ბრძოლაში შემცვლელი მოთამაშეები, გონტარის კართან ზედიზედ რამდენიმე ძალზე სახიფათო მომენტი შეიქმნა, რომელთგან ერთ-ერთი, 85-ე წუთზე, ზუსტი თავური დარტყმით დაამთვრა მ. მაჩაიძემ – 1:2.

ვ. პავლოვი. (ტელეფონით, ჩვენი კორ.).
“ლელო”, 15 ივლისი, 1976 წ.